



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №263/2016

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების,
რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორისათვის თანხმობის მიცემის
შესახებ

ქ. თბილისი

2016 წლის 30 ივნისი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული გრანტის გაცემის წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორს, ამ განკარგულებაზე თანდართული, სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის №114 (ცესკოში რეგისტრაციის №2026; 29.06.2016) წერილით წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ბრძანებით განსაზღვროს საგრანტო საკონკურსო კომისიის შემადგენლობა.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

LEPL Centre for Electoral Systems Development, Reforms and Trainings

N 114
29/06/2016

114-1-2-201606291752



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს
ქალბატონ თამარ ჟვანიას

ქალბატონო თამარ,

როგორც მოგეხსენებათ, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადდა საგრანტო კონკურსი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თანხმობის მისაღებად წარმოგიდგენთ ინფორმაციას (CV-ები თან ერთვის) საგრანტო საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატურების შესახებ:

- ა) დავით ღონღაძე - საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES);
- ბ) თინათინ ბოჭორიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- გ) ნანა ჭილაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის დოქტორი;
- დ) ანა ფაშალიშვილი - გაეროს ქალთა ორგანიზაცია;
- ე) თამარ ჯაფარიძე - სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია;
- ვ) თინათინ ბოლქვაძე - ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო;
- ზ) მარიამ ჩიხლაძე - ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტი (NIMD);
- თ) შორენა ღარიბაშვილი - კონრად ადენაუერის ფონდი (KAS);
- ი) ნინო დოლიძე - საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI);
- კ) თეონა ყუფუნია - საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI);

ლ) ნინო გოგოლაძე - ეროვნული უმცირესობების საკითხებზე ეუთოს უმაღლესი კომისარის წარმომადგენლობა (OSCE HCNM).

ამასთან გაცნობებთ, რომ „ვ“-„ლ“ პუნქტებით გათვალისწინებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები საგრანტო საკონკურსო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობას მიიღებენ სათათბირო ხმის უფლებით, ზემოაღნიშნული „გრანტის გაცემის წესის“ მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

დანართი: 39 (ოცდაცხრამეტი) ფურცლად.

პატივისცემით,

ნათია ზაალიშვილი



დირექტორი

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი